პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი

## (თეზისები)

1. საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში დგება მომენტი მათი სახელმწიფოებრივ-უფლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის. რევოლიუციისა და სამოქალაქო ომის წლებმა მჭიდროდ შეადუღა საერთო ბრძოლაში ყველა საბჭოთა რესპუბლიკები და შექმნა ერთიანი საბრძოლველი პროლეტარული ფრონტი ბურჟუაზიულ მსოფლიოს წინააღმდეგ.

2. საბჭოთა რუსეთის ბრძოლამ ოქტომბრის მონაპოვართა შენარჩუნებისათვის ნათლად დაამტკიცა, რომ რევოლიუციის გამარჯვება შეუძლებელია განაპირა კუთხეებისა და ცენტრალური რუსეთის შორის საურთიერთო დახმარების გარეშე. თუ რუსეთისათვის ძნელი იქნებოდა არსებობა განაპირა ქვეყნების დაუხმარებლად, რომელნიც მდიდარნი არიან სათბობი მასალით, ნედლეულითა და სურსათით, განაპირა კუთხეებიც აუცილებლად უნდა გამხდარიყვნენ იმპერიალისტური სახელმწიფოების მონებად, რუსეთის პოლიტიკურ ეკონომიურ-ორგანიზაციულ და სამხედრო დახმარებას მოკლებულნი. იმპერიალისტურმა ქვეყნებმა, გაითვალისწინეს რა ოქტომბრის გადატრიალების პირველი დღიდანვე განაპირა ქვეყნების როლი, დაიწყეს ცენტრალური რუსეთის იზოლიაციის პოლიტიკის გატარება მით, რომ სურდათ შემოეფარგლათ იგი ისეთი სახელმწიფოებით, რომელნიც სიტყვით იყვნენ თავისუფალნი და დამოუკიდებელნი, ხოლო საქმით კი იმყოფებოდენ ამ იმპერიალისტებთან სრულ დამოკიდებულებაში.

3. დიდი სახელმწიფოების იმპერიალისტურმა პოლიტიკამ ჰპოვა ერთსულოვანი გამოძახილი განაპირა სახელმწიფოების ბურჟუაზიასა და მისი იდეოლოგიით გამსჭვალულ სოციალ-შემთანხმებელთა შორის. ერების თვითგამორკვევის დროშის ქვეშ ისინი, აღიარებდენ რა „განათლებული" იმპერიალისტური დასავლეთისორიენანციას, აწნტ სასტეიკ არმოებდდა აშკარა ბრძოლას, პროლეტარული რევოლიუციისა და მშრომელთა მასების იმპერიალისტური უღლისაგან განთავისუფლების წინააღმდეგ. ყველგან, უკრაინაში, ამიერ-კავკასიაში და სხვა განაპირა ქვეყნებში არ იყო თავისუფლება და დამოუკიდებლობა, პირიქით, იყო საერთაშორისო კაპიტალის ძალაუფლება, რომელსაც პირველად მხარს უჭერდენ გერმანიისა და ანტანტის საოკუპაციო ჯარები, ხოლო შემდეგ „დამოუკიდებელი" რესპუბლიკების ყველა სახელმწიფო აპარატები მათი სახალხო გვარდიებით, განსაკუთრებული რაზმებით, მაუზერისტებითა და სხვა.

4. კომინტერნის მეორე კონგრესზე იყო აღნიშნული, რომ „ჩაგრულ ხალხთა ღსნა შეუძლია მხოლოდ რევოლიუციონურ პროლეტარიატთან კავშირსა და საბჭოთა ხელისუფლების მსოფლიო იმპერიალიზმზე გამარჯვებას". განაპირა ქვეყნებში საბჭოთა წესწყობილების დამყარება იყო ამ განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთი ეტაპთაგანი. და არავითარ შემთხვევაში ამ განაპირა ქვეყნების მშრომელთა მასსები ვერც შესძლებენ და არც მოისურვებენ ამ ეტაპის ისე გაგებას, რომ თითქოს ეს იყოს საკუთარი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვა. მხოლოდ ეხლა გახდენ ისინი თავისუფალნი გაბატონებულ კლასთა ჩაგვრისაგან და დამოუკიდებელნი დასავლეთის იმპერიალისტების კოლონიალურ პოლიტიკისაგან.

5. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა წესწყობილების დამყარებამ და შემდეგ მათი ფედერატიულ კავშირში გაერთიანებამ შექმნა პირველ ყოვლისა ნორმალური მშვიდობიანი პირობები ნაყოფიერი შრომ სათვის, მოსპო საურთიერთო ეროვნული ბრძოლა. ომები, ეროვნებათა შორის სისხლის ღვრა, შოვინიზმის გაძლიერება—აი, მოვლენები, რომლითაც ხასიათდება ნაციონალისტური პარტიებისა და მათი მთავრობების ბატონობის ხანა. ამ ვიწრო ნაციონალისტურ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა ეკონომიური ცხოვრების სრული დაშლა. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციამ პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მეზობელ ქვეყნებს კი არა თიშავს, არამედ აახლოებს მათ ფედერაციაში შემავალი თვითეული ერის ყოფა-ცხოვრების, კულტურული და ეკონომიური თავისებურების ფართო და თავისუფალი განვითარების საფუძველზე.

6. მაგრამ სამეურნეო ცხოვრება, ყველა ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენების შესაძლებლობა, საქონლის გაცვლა-გამოცვლა არ შეიძლება ჩაყენებულ იქნეს მარტო ერთ ამიერ-კავკასიის ჩარჩოებში; არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკას არ შეუძლია სამეურნეო აღმშენებლობაში დაემყაროს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ძალებზე. ამიერ-კავკასია ყოველთვის იკვებებოდა რუსეთის პურითა და რუსეთის მრეწველობის პროდუქტებით. რუსეთი თავის მხრივ ყოველთვის იყო დამოკიდებული ბაქოს ნავთისაგან.

7. დგება მომენტი, რომელიც გადაჭრით მოითხოვს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებისა და ფედერაციების კავშირს. ამ კავშირის დამყარების აუცილებლობა გამოწვეულია, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მოსაზრებებით. საბჭოთა რესპუბლიკებმა საწარმოო და საომარ ძალთა განვითარების გეგმა, თავისი ძლიერების განმტკიცების მიზნით, უნდა დაამყარონ ურთიერთობის მკაფიოდ განსაზღვრულ ფორმებზე.

8. ასეთი კავშირების ფორმები გათვალისწინებულია შემდეგი სახით:

ა) დადებულ უნდა იქნეს ხელშეკრულება უკრაინას, ბელორუსიას, ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისა და საბჭოთა რუსეთის შორის, მათი „სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კავშირში" გაერთიანების შესახებ, თვითეული მათგანისათვის კავშირის შემადგენლობიდან თავისუფალი გამოსვლის უფლების დატოვებით.

ბ) ისეთი კავშირის იდეა, რომელიც დამყარებულია შესვლისა და გამოსვლის თავისუფლებაზე, სავსებით ახორციელებს ერთა თვითგამორკვევას, რომლითაც თავის ნაციონალურ პოლიტიკაში ყოველთვის ხელმძღვანელობდა საბჭოთა ხელისუფლება. ასეთი თანასწორ-უფლებიანობა არ იცის არც ერთმა ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ, როგორი დემოკრატიულიც არ უნდა იყოს იგი, თუნდაც მის სათავეში იდგენ „სოციალისტები", როგორც ეს იყო საქართველოში, სადაც ადგილი ჰქონდა ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრას (აბხაზეთი, აჭარა, ოსეთი).

9. კავშირის უმაღლეს ორგანოთ ჩაითვალოს საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც შეადგენენ საბჭოთა რუსეთის, ამიერ-კავკასიის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენლები, მცხოვრებთა პროპორციონალობის მიხედვით. საკავშირო ც. ა. კ.-ის აღმასრულებელ ორგანოდ ჩაითვალოს საკავშირო სახალხო კომისართა საბჭო. რომელსაც დანიშნავს საკავშირო ც. ა. კ.

კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებისა და ფედერაციების გარეშე საქმეთა, საგარეო ვაჭრობის, სამხედრო და საზღვაო, გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატები შეუერთდა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სათანადო კომისარიატებს, იმ პირობით, რომ რესპუბლიკების კავშირის სათანადო სახალხო კომისარიატებს ჰყავდეთ რესპუბლიკებში და ფედერაციებში თავისი რწმუნებულები მცირე აპარატით, რომელსაც დანიშნავს კავშირის სახალხო კომისარი ფედერაციებისა და რესპუბლიკების ც. ა. კ.-თან შეთანხმებით.

საჭიროდ იქნას ცნობილი დაინტერესებული რესპუბლიკების წარმომად-

გენელთა ყოლა გარეშე საქმეთა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების საზღვარ-გარეთის წარმომადგენლობაში.

ამგვარად, საერთო საკავშირო მასშტაბით ხდება ორგანიული გაერთიანება იმ სახალხო კომისარიატებისა, რომელთაც აქვთ უშუალო ურთიერთობა გარეშე ბურჟუაზიულ მსოფლიოსთან და იმ კომისარიატებისა, რომელნიც ჰქმნიან ქვეყნის სამხედრო ძალებს, ტრანსპორტსა და კავშირს. ამ სახალხო კომისარიატების გაერთიანება შეჰქმნის იმ ძლიერებას, რომელიც შესძლებს წინააღმდეგობა გაუწიოს გარედან თავდასხმას. და რამდენადაც გზები წარმოადგენს მრეწველობის მთავარ ძარღვს, მათი გაერთიანება იმდენად უფრო საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკების საწარმოო ძალების გეგმა-შეწონილი განვითარებისათვის.

10. რესპუბლიკებისა და ფედერაციების ფინანსთა, სასურსათო, სახალხო მეურნეობის, შრომისა და ინსპექციის სახ. კომისარიატები, ისევე, როგორც კონტრ-რევოლიუციასთან მებრძოლი ცენტრალური ორგანოები, უნდა დაუმორჩილონ რესპუბლიკების სათანადო სახ. კომისარიატების დირექტივებს, სახალხო კომისართა საბჭოს და შრომის თავდაცვისა და საბჭოს დადგენილებებს.

ამგვარად, ყველა ბუნებრივი სიმდიდრის განსავითარებლად და გამოსაყენებლად, რესპუბლიკებს ენიჭებათ სამეურნეო ინიციატივა, რომლის გეზსაც წარმართავს ცენტრი საერთო დირექტივებით.

11. „დანარჩენი სახ. კომისარიატები, რომელნიც შედიან რესპუბლიკათა კავშირის შემადგენლობაში, როგორც, მაგ., იუსტიციის, განათლების, შინაგან საქმეთა, მიწადმოქმედების, სახალხო ჯანმრთელობის, სოც. უზრუნველყოფის—ჩაითვალოს დამოუკიდებლად“.

მაშასადამე, ეროვნული კულტურის განვითარება და გაღრმავება ცალკე რესპუბლიკების განსაკუთრებულ განმგებლობაში იქნება.

ადმინისტრაცია ადგილობრივ ინიშნება ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების მიერ.

რაც შეეხება მიწათმოქმედებას, მიღებულ იქნა რა მხედველობაში ყოველგვარი ადგილობრივი განსაკუთრებული პირობები, რესპუბლიკებს ენიჭება სრული ინიციატივა სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარების საქმეში.

12. რესპუბლიკათა კავშირის განხორციელებისათვის, მახლობელ დროში, მოწვეულ იქნება ცალკე რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობები, დეკემბერში კი საბჭოების საერთო საკავშირო ყრილობა.

13. ამრიგად, მთელს ამ პროექტში წითელი ზოლით არის გატარებული მისწრაფება ძლიერი გაერთიანების შექმნისა, ცალკე რესპუბლიკებისათვის რაც შეიძლება მეტი თავისუფლებისა და ინიციატივის მინიჭებით, მისწრაფება ცალკე რესპუბლიკების ეროვნული, ეკონომიური და კულტურულ თავისებურობის განვითარებისათვის არა ხელის შეშლისა, არამედ ყოველგვარი დახმარების გაწევისა.

ამასთანავე ერთად, კავშირი ძირიან-ბუდიანად აღმოფხვრის განცალკევების იმ მავნე ტენდენციას, რომლის შხამით ნაციონალისტური პარტიები ცდილობდენ ხალხის მასსების მოწამვლას. თუ ეს შხამი საშიში არ არის სამრეწველო ქალაქებისათვის, როგორიცაა ბაქო და თბილისი, სადაც იდეოლოგიით უცხოა ბურჟუაზიული შემეცნება „სამშობლოზე“, წვრილ ბურჟუაზიულ და გლეხურ მასსებში ასეთი ტენდენცია ადვილად მიიღებს განსაკუთრებულ ნაციონალისტური გადახრის ხასიათს თავისი ვიწრო მსოფლმხედველობით, თავისი ერის ინტერესების ვიწრო სფეროში ტრიალით, საერთაშორისო რევოლიუციონური ბრძოლისაგან გამოთიშვითა და თავისი თავისა და თავისი ერის დანარჩენ ქვეყნისათვის დაპირისპირებით.

14. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი სრულიადაც არ არის შეზღუდული რაიმე ტერიტორიალური, ნაციონალური და ან ტერიტორიული ფარგლებით. თვითეული ქვეყანა, სადაც გაიმარჯვებს და დაამყარებს თავის დიქტატურას მუშათა კლასი, უნდა შევიდეს ამ კავშირში. მიუხედავად იმისა, შედიოდა თუ არა ის წინად ყოფილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, რომლის ნანგრევებზე შენდება ამ ჟამად სოციალისტური საზოგადოება.

იგივე ინტერესები, რომელიც უკარნახებს ამ ჟამად არსებულ საბჭოთა რესპუბლიკებს შექმნან მჭიდრო კავშირი, იგივე ინტერესები იქნება მოტივად ამ კავშირთან რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკის შეერთების დროს, რომელ მხარეშიც არ უნდა შეიქმნეს ეს რესპუბლიკა.

**15. ვის ინტერესს შეადგენს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დაარსება?**

უპირველესად ყოვლისა მთლიანად და სავსებით მუშათა კლასის ინტერესს. პროლეტარიატის კლასიურ ინტერესებს არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე საერთო ნაციონალურ განკერძოებასა და მტრობასთან, რაიც ხელსაყრელია შეძლებული კლასებისათვის. მუშების სრული ერთობა მიუხედავად მათი ეროვნებისა, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში არის პირობა პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისა. სოციალისტური აღმშენებლობა, რომელიც არის მუშათა კლასის უახლოესი მიზანი, შეუძლებელია ყველა ეროვნებათა მუშების მჭიდრო შეკავშირებისა და გაერთიანების გარეშე.

გლეხების ინტერესები აგრეთვე გადაჭრით მოითხოვს საბჭოთა რესპუბლიკების საომარი ძლიერებისა და სამეურნეო შესაძლებლობათა გაერთიანებას მხოლოდ ამ პირობებში. გლეხს ეძლევა მშვიდობიანი არსებობისა და სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა. საქონლის ბაზრის გაფართოება, ნაციონალური და სამეურნეო ზღუდეების მოსპობა, რომელნიც ხელს უშლიან სასოფლო მეურნეობის განვითარებას, გამარტივება და გაიაფება ქვეყნის სახელმწიფო და სამეურნეო აპარატისა, მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობის დამყარება—რომელიც არის შედეგი სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნისა და სავსებით აკმაყოფილებს გლეხობის მოთხოვნილებას.

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნა ცხადია არ შეადგენს ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესს, რომელთა მთელი პოლიტიკა მიმართულია ნაციონალური შურისა და მტრობის გამწვავებისაკენ, რაც მათ უადვილებს მუშათა კლასზე ბატონობას. მაგრამ, რამდენადაც საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში ძალა-უფლება მუშებისა და გლეხების ხელშია, მემამულეების, მწარმოებლების, ვაჭრების, ბანკირებისა და მათი დამქაშების ანგარებიან ინტერესებს არ აქვს მნიშვნელობა ამ რესპუბლიკების ურთიერთ და რ. ს. ფ. ს. რ.-სთან უფრო მჭიდრო გაერთიანების საკითხის გადაწყვეტასთან. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი არსდება მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, მიუხედავად გახელებული შოვინისტური აგიტაციისა, ექსპლოატატორული კლასებისა და მათი პოლიტიკური ლაქიების—მენშევიკების, დაშნაკებისა და სხვ.

16. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნა ამტკიცებს მის სამხედრო ძლიერებას, ქმნის უდიდეს სამეურნეო ორგანიზმს, მსოფლიო კაპიტალის გაერთიანებას უპირდაპირებს სოციალისტურ ქვეყანას თავისი წითელი არმიით, მოწყობილი მრეწველობით, რომელიც ფოლადისებური სიმტკიცით დაიცავს თავის მონაპოვარს.

ამ კავშირს კოლოსალური მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მშვიდობიანი პროლეტარიატისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუმსხვრევია კაპიტალიზმის უღელი. ეს კავშირი მისთვის არის გზის მაჩვენებელი ლამპარი, საითკენაც ის მიმართავს თავის ძალებს, მას შემდეგ, როდესაც ის დაამსხვრევს კაპიტალისტური უღლის ბორკილებს, და როცა კავშირი განმტკიცდება, გაიზრდება და გაფართოვდება ახალი რესპუბლიკების შემოერთებით, მანამ ძველი ქვეყნის ნანგრევებზე არ შეიქმნება ახალი სოციალისტური ქვეყანა.

**რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის კომიტეტი.**

**საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტი.**

**საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი.**

საქართ. სახალხო მეურნ. უმაღ. საბჭ. პოლიგრ. განყ. მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.